



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
ბრძანება



MES 5 22 0001305322



17/10/2022

„სსიპ - კოლეჯისთვის „იბერია“ არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 12 სექტემბრის № 1057583 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2022 წლის 13 ოქტომბრის №1290480 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - კოლეჯისთვის „იბერია“ არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 12 სექტემბრის № 1057583 ბრძანებაში, კერძოდ,

ბათილად იქნას ცნობილი ბრძანების პირველი პუნქტი და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიენიჭოს სსიპ - კოლეჯს „იბერია“ არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული

გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში და ვადით. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 23 სექტემბერი."

2. აღნიშნული ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 12 სექტემბრიდან.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის
დირექტორის მოადგილე
კახაბერ ერაძე

